ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6455210

ნომერი: AR1964928

თარიღი : 05.05.2023

გაცემის თარიღი : 11.05.2023

გაცნობის თარიღი : 11.05.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელისო სიხარულიძე პ/ნ 01019008423
- თბილისი ტ.შევჩენკოს ქ. N 5 ბ. 32 .

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 01 მაისის №6440419 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 05 მაისის №AR1964928 განცხადებით მომართა ელისო სიხარულიძემ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 01 მაისის

№6440419 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 01 დეკემბრის №6231560 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.18.005.046), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 23 იანვრის №6294597 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 23 იანვრიდან 2025 წლის 23 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 01 მაისის №6440419 ბრძანებით, სამსახურის 2022 წლის 01 დეკემბრის №6231560 ბრძანებაში გასწორდა ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. ამასთან, სამსახურის 2022 წლის 01 დეკემბრის №6231560 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (21-26 ფურცლები) ჩანაცვლდა 2023 წლის 20 აპრილის №AR1961881 განცხადებაზე წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 01 მაისის №6440419 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად „ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს სარდაფის ფართობი: 18.2 კვ.მ.“, უნდა ფიქსირდებოდეს დამხმარე ფართობი. შესაბამისად ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გაწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2023 წლის 20 აპრილის №AR1961881 განცხადებაზე წარმოდგენილი -3.20 ნიშნულის გეგმაზე არსებული წყლის რეზერვუარის და სატუმბის ოთახი (18.2 კვ.მ.) წარმოადგენს დამხმარე ფართობს. თუმცა, სამსახურის ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ტექნიკური შეცდომის შედეგად აღნიშნული ფართი არასწორად დაფიქსირდა სარდაფის ფართობად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2023 წლის 01 მაისის №6440419 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 01 მაისის №6440419 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში ნაცვლად „დაემატოს სარდაფის ფართობი: 18.2 კვ.მ.“ დაფიქსირდეს „დაემატოს დამხმარე ფართობი: 18.2 კვ.მ.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 01 მაისის №6440419 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 01 მაისის №6440419 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.